

22.12.10

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2010 წლის 22 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტს შეადგენს.

ნოემბერში დაფიქსირებული 10.5 პროცენტიანი წლიური ინფლაციის მაჩვენებელში სურსათის გაძვირების წვლილი დაახლოებით 9.1 პროცენტულ პუნქტს აღწევს. აღსანიშნავია, რომ მომსახურებაზე ფასების წლიური ზრდა 0.6%-ს შეადგენს, რაც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის სიმცირეზე მიუთითებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბოლო სხდომის შემდეგ ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზი არ შეცვლილა.

ფულადი აგრეგატების წლიური ზრდის ტემპს ბოლო პერიოდში კლების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოსათვის ფართო ფულის მასის წლიური ზრდის ტემპი კიდევ უფრო შემცირდება. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება. ბოლო პერიოდში გაიზარდა უცხოური ვალუტით გაცემული სესხები.

ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას. ამ მიზნით მიღებულია გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმის ეტაპობრივად 15%-მდე გაზრდის შესახებ. დასაწყისისთვის, მომავალი წლის 20 იანვრიდან აღნიშნული სარეზერვო ნორმა 10%-მდე გაიზარდება. სარეზერვო მოთხოვნების ზრდა არ შეეხება კაპიტალსა და მასთან გათანაბრებულ გრძელვადიან რესურსს. ამასთან ეროვნული ბანკი მომავალში განიხილავს სხვა გრძელვადიანი რესურსის მოზიდვის ხელშეწყობის ღონისძიებებს.

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეროვნული ბანკი ამცირებს საპროცენტო განაკვეთის კორიდორს 4-დან 3 პროცენტულ პუნქტამდე, კერძოდ ერთდღიან სესხებზე/დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს ერთნახევარი პროცენტული პუნქტი. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის მერყეობის კიდევ უფრო შემცირებას და ფულადი ბაზრის აქტივობის ზრდას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2011 წლის 18 იანვარს გაიმართება.